



140 / 2
1982

ISSN 0128-7587
საქართველოს
წიგნითა და ხელოვნების
კავშირები

საქართველოს
წიგნითა და ხელოვნების
კავშირები

2
1982



ლილა ივარია

რა ხახხასა ფერებია,
შოიდან ბროლის ხვილია,
რაც კი დაგვიმღერებია,
ჩემი მიწის ღიმილია.
საქართველოვ. ტკბილო დედავ!
ჩვენო სუნთქვა.
ჩვენო სისხლო.
შენება, ჩვენდა ბედად,
შენს შთაბარში, სადღესიოდ,
სადღესიოდ გრგვინავს გრდემლი,
უქმად დრო არ იკარგება.
ასი დაბა, ასი გრემი
ჩვენი ხელით იკარგება.
უური უგდეთ რუსთავ-ქალაქს:
ელერს ფოლადი მქუხარ ხმაში,
სამგორმა კი — ძველი ძალა
იგრძნო მწვანე მხრების გაშლით.
იტყვი ერთზე... გრჩება ასი,
ჩვენი ხალხის სასახლოდ, —
იცის იცის შრომის ფასი
წარღვნავავლილ საქართველომ.
ვით სიმღერა, ისე მესმის
შექმნის რიტმი —
მშვენიერი,
სიამავე — ენგურპესი —
ბრდღვილაო მზე ჩვენი ერის.
როს უინვალთან ზღვა დადგება,
სასიკეთოდ ამინდს შეცვლის.
დღეს ქართველის თავდადება
შრომით უასობს, ასე მესმის.
დაზგასთან თუ მწვანე ბაღში —
ჩვენი ოფლი უველგან ელავს.
ვქმნით და ვიდევით,
დროის ვალში
ჩვენ არ ვგრებით —
ზღვისებრ ველავთ.
მზესთან ელავს დროშა ჩვენი:
სიბრძნის,
წინსვლის,
ერის რწმენის, —
სილიადე შოთას ენის —
დელავს.
ელავს დროშა ჩვენი.
ქართველის მიწის მანგებია
უკვდავების შესადარი,
ნახე, ნახე, რა ვგრგებია:
საედემო შთა და ბარი.
დღეს გუგუნი მძლავრი ისმის,
განა ისე, მაიპარად,
მქუხდეს მუდამ ქართველთ სისხლი
საქართველოს გასახარად!





საქართველოს კომუნისტური პარტია
XXXII ყაიღობის
 მესხენარაღ

კომუნისტი ყაიღობის კომუნისტური პარტია

პიონერი ენაზღაბა, რომ გახლხ კომუნისტური.
 სხვა პიონერია კანონებიდან

09117

— ყველაფერი პირველი განსაკუთრებით დასამახსოვრებელია: პირველი 1-ლი სკიტიმბერი, პირველი მასწავლებელი, პირველი გაკვეთილი, პირველი „ხუთიანი“ (ან „ოთხიანი“, „სამიანი“...), ოქტომბრულის ვარსკვლავი, პირველი ყელსახვევის ზიზნების დღე... და ყოველივე ეს მოსამზადებელი საფეხურებია, წინა პერიოდია იმ ყველაზე სამახსოვრო წამისა, როცა ახალგაზრდა პირველად იღებს ხელში საკავშირო ასეწ წევრობის ბილეთს. ასე არ არის?

— დიახ, ჭეშმარიტებაა.

... ასე დაიწყო ჩვენი საბჭოთაო თბილისის 167-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის ოთხიანი, ეს სკოლა დღემდე აღჰქის ყველაზე ახალგაზრდა რაიონის — გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს. თვით სკოლაც ახალგაზრდა გახლავთ. ჯერ ხუთი წელიც არ შესრულებულია, ამიტომ განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებთან ერთად პრობლემებიც თავსართლი აქვს. მაგრამ, როგორც კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მია-

ცოფურაშვილმა თქვა, პრობლემები იმისთვის არსებობს, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად გადაჭრათ ისინი.

სწორედ მაია იყო, წელს რომ დაემთხაბა — „დიახ, ჭეშმარიტებააო“.

მაგიდა მაიას და ჩემს გარდა უხსნადან დირექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში ნათელა მუჯანბან, რაზმეთლის სამფოს თავმჯდომარე ხათუნა შედახია (VIII კლასის მოსწავლე) და კიდევ ოთხი „გუმინდელი“ პიონერი, რომლებიც გასული წლის ნოემბერში გახდნენ კომკავშირელები: ლალი გავაშელი (VII კლასი), ცირა ევაშვილი (VIII კლ.), ვეფხია ჩემია (VIII კლ.), ილია ჩანგულაშვილი (IX კლ.).

— კომკავშირზე ფიქრი მეოთხე კლასშივე დავიწყე, — გვიამბობს ლალი გავაშელი. სულ იმაზე ვოცებობდი, რომლის გაჯივრებოდი და როლის მივიხვედი მკვარდზე კომკავშირის სამკერდე ხინჯა. ამიტომ აუღ წიგნებმა და რვეულებს ვუჭერი და ცოდნა ვეწეებოდი...

ლალი თრიალოს ნახალეთ. — დაბუჯტ მაიამ.

ამავე დროს, ყოველთვის აქტიურად ვმობ წილეთში პიონერულ საქმიანობაში. მე და ჩემი ამხანაგები მუდამ მოწინავენი ვიყავით საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტების გზებზე, განსაკუთრებით გამოვიჩინეთ თავი ჯართისა და მაკულატორის შეგროვებაში.

— მართლაც მოწინავე კლასია, — დადასტურა ნათელა მასწავლებელმა — რასაც დაავალე, ყველაფერს პირხათლად და ხალისით ასრულებენ. ზოგჯერ კი დარწმუნდავ არ სჯერდებიან, დროდადრო პიონერულმძღვანელებს მიაშურებენ ხოლმე, — დარჯება ხელმძღვანელი, დალი ხელმძღვანელი, ახლა რა გავავეთოთ, რამე დავევალოთ“, — არ ასეივნებენ ხოლმე თხოვნი.

კარგი ამხანაგობაც სცივინდა ლალის. შარშან მისი თანაკლასელი ირინა დავარაშელი მძიმედ გახდა ავად და სკოლაში დიდ ხანს არ დადიოდა. ლალიმ არ მიატოვა მეგობარი, გაკვეთილების შემდეგ ყოველდღიურად ავიხათავდა, უხსნიდა ახალ მასალას, ემბარებოდა საშინაო დავალებების შესრულებბაში, აიძულებდა, ახსნებებში, სკოლის ამბებზე უყვებოდა. ახლა ირინა უყვითადა, გაკვეთილებს იშვიითადა აცდენს, მაგრამ ლალი მაინც არ აცლებს მას ყურადღებას.

— ლალის სხვებმაც მიბაძეს, — ამბობს მაია. — მოწინავენი ხალისით ემბარებან სწავლაში ჩამორჩენილ პიონერებს. მართლაც, თუ კლასის კულში მიხანჩალებ, რალა პიონერი ხარ?..

მართკ ბეტიონ სწავლა არ კმარა-თქო, ხშირად ვუებებენ ამხანაგებს, გახადრო ლალიმ. — პიონერი ყველადრით მოწინავე უნდა იყოს. რა დასამაღია, გუჟავ-

კლასში თითო-ორი კლასი მოსწავლე. პიონერულ მუშაობას თავს რომ არიდებს (უფრო ბიჭები), მაგრამ ბოლო ხანს უფრო და უფრო ხშირად ვახერხებთ მათ დარტყვას.

ლალი კომკავშირის კომიტეტში პიონერებთან მუშაობის სექტორის ხელმძღვანელობს. ჯერ ახალბედაა, მაგრამ საქმეს ენერგიულად მოკიდებია და ექვი ვარავის ეახარება რომ დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართმევს თავს, მით ომეცა, რომ აქტიური პიონერული მუშაობის საქმად გამოიღილება აქვს.

ფრიალდისანა ცირა ევაშვილი, ისიც აქტიური პიონერი იყო, სამი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა რაზმის საქმას, იყო ვახტე „მოთვეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, თანამშრომლობდა სასკოლო იუმორისტულ გახეთ „მოლტორ“.

— „მოხეტიალე კლასი“ ვიყავით, იგობებს ცირა, — საკლასო ოთახები არ გვეყოფნოდა. ერთხელ, ახალი გაკვეთილის წინ ერთ-ერთი აკლასო ოთახში რომ შევედილი, ბიჭები წაყინკლავდნენ და ორი თუ სამი სკანბი „შეპრომტერაათ“. ისინი კი მათე შერჯიდნენ, მაგრამ სკამებს რა ემეველებოდა? მათი საკითხი რაზმის საბ-

საქართველოს კავ. მ. შ. ს. შ. 3. 8. 1936-ის საკლასო პიონერული რაიონის კავალაშვილი სკოლის კომკავშირის კავალაშვილი



კომუნისტი

2 თებერვალი 1982

საქ. 23 მარტი 1982-ის

ქოს სხლომაზე განვიხილეთ, ხილო მერე „შოლტიში“ გავამთარხეთ. ბიჭებს ეწყვევათ, მაგრამ კობიტკა სამართლიანი



ბაია ცოფარაშვილი

იყო და დანაშაული აღიარებ, ბოდიში მოიხატეს და საკუთარი ხელით შეეთეთს სკამები.

— ცირა მოსწავლეთა კომიტეტის წევრია, სასწავლო კომისიას უდგას სათავეში, — გავაკეცხო ეუწყვეილს „თამაღებობა“ ხათელ მასწავლებლებმა. — პიონერული გამოცდილება დიდად გამოადგა, მშვენიერი ორგანიზატორია, კარგი ავტორიტეტითაა სარგებლობს.

ცირა ბევრს კითხულობდა და ახლაც ბევრს კითხულობს. უყვარს „თემური და მისი რაზმი“ და „ახალგაზრდა გვარდია“, წყუკითხავს არ დატოვებს ვერხალს „პიონერსა“ და გახუთ „ახალგაზრდა კომუნისტს“, „პიონერსკია პრავდას“ და „ნორჩ ლუხინელს“... როგორც ხელდათ, თუქო უკვე კომკავშირელია, მაინც უჭირს პიონერულ ცხოვრებასთან გამოთხოვება, იმ ორგანიზაციის მოშორება, რომელშიც იგი კომკავშირში შესასვლელად შეამზადა...

— ხათუნაც გვეტყვის აღბათ ორიოდ სიტყვას, — ომილით გადახუდა ხათუნა შედანიას ხათელ მასწავლებლებმა. — ისიც დიდი გამოცდილების მქონე აქტერანი პიონერია“

ხათუნას ოდნე შეეძალა დაწვევები.

— ორი წელია, რაც რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ვარ, — თქვა მან მცირე პაუზის შემდეგ. — მანადე რაზმეულის საბჭოს წევრი ვიყავი... რა ვიცი, თითქოს განსაკუთრებული არაფერი გამოიკეთებია, ეს კია,



ხათუნა შაღანიანი

ვეცილობდით, ვეთიხინდისიერდ მემუშავა, მოწინავეთა რიგებში ვყოფილიყავი სწავლეთაც, შრომითაც, პიონერული საქმიანობითაც... ვიცი, რომ, ასე ვთქვათ, წინასასკომკავშირით სკოლას გავდილიდი...

— ხათუნას არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, — წამოეწველა მია. — მაგრამ მან, როგორც წითელმა კვლამაძიებელმა (სხვა „ჩვეულებრივ“ დამსახურებულ ალარაფერს ვიტყვი) მართლაც საქმიანი გოგონას სახელი მოიწვევა სკოლაში (და არა მარტო სკოლაში)...

იმ მიკრორიონში თითქმის ყველა სადარბაზო და ყველა ბინა შუშითარის ამ ორი წლის წინათ ხათუნად და მიათ, ომგადახდილებს ექმდნენ კითხვა-კითხვით, და ავი უფასდათ: ახლა სკოლის პიონერული ორგანიზაციის ერთგული მეგობრები არიან მცირემწიფელი ოსკებ ქინჭლაყ და ლუბა ავახიხვილი. ეს დაწვლილილი ადამიანები, რომლებსაც დღემდე მოჰყოლიათ საოცარი ენერგია,

ხშირად მოდიან ხოლმე სკოლაში, ატარებენ სიმამიცი გაკვეთილებს, უყვებიან პიონერებს ფრონტულ ამბებს, ლეგენდებს რომ ჰყვანან ასე ძალიან...

— კომკავშირმა მთავრობის უმაღლესი ჩილოდები მამაკური შრომისა და ბრძოლისათვის მიილი, — თქვა ხათუნამ. — მეც მინდა, ჩემი მცირე წვლილი შევიტანო მის მომავალ წარმატებებში. ვეფიქრობ, ამისთვის საკმარის შემამზადა პიონერულმა ორგანიზაციამ.



მუხთა ნაბია

მუხრა ვეღზიანე გადავტანე. ვეფხია კი ჰქვია, მაგრამ წყნარი ბიჭი ხანს. მორიდებული. ხათელ მასწავლებელმა მოკლედ დაიხასიათა იგი. რაზმის კედლის გაზუთის სარედაქციო კოლეჯის წევრი ყოფილა, მხატვრული გაფორმება აკისრია თურმე. მისი გაფორმებული გაზეთი საშვიდნოეობრივ კონკურსში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ცოტა ადრე კი, ოქტობერში, თუარალურ სტუდიათა საქალაქო კონკურსში გაუმარჯვნი, თავი გამოუჩინა თეტრის ისტორიის ცოდნის, სიმღერის, მეტყველების, ეტიუდის დარგში.

— ჩვენ მას კულტმასობრივი მუშაობის სექტორი ჩავაბარეთ, — თქვა მიათ. — ვფიქრობთ, რომ მოერგვა საქვე. კომიტეტეც დაეხმარება, რაზმეულის საბჭო — თავისთავად.

— წარმატებამ თრთობა შემძახა, მარტო კულტმამ აქადაც კულტმის სტუდიაში, მაინცდამანაც დიდი სიბედითი ვერ დაეკვივნინდი, მაგრამ ახლა პირობას ვებდ, რომ უკეთ ვისწავლო და მოწინავეებს გავუტოვებდი.

ახლა ილია ჯანგულაშვილს „მივეციო სიტყვა“. ილია მეტრეველასგან ილია, ისიც შარშან, ნოემბერში მიიღეს საკ. ალექსევერად.

— შარშანწინ, მერვე კლასში რომ გადავედი, დაისვა ჩემი კომკავშირში შეხვლის საკითხი, გვიამბობს ილია, — მაგრამ, როგორც ჩანს, არც თუ მთლად შესაფერისი კანდიდატი გამოვლენი. რა დაგვიძალით, რატომღაც



ილია ჯანგულაშვილი

არ დამაინტერესა პიონერულმა მუშაობამ, უფრო ჩემთვის მიყვარდა ჩინორვეთობა. მერე დიდ ხანს ვიფიქრე ამას. — ჰოდა, ის იყო, ხორსის შრომით ბანაკში მუშაობით ისახეო თავი, — გაუტყინა ხათელ მასწავლებელმა.

— მარტო მე კი არა, ყველამ კარგად ვიმუშავეთ, — თქვა ილიამ. — ორიმოცმა მოსწავლემ გეგმით გათავალისწინებული 200 მანეთის სამუშაო გადაჭარბებით შევასრულეთ, მოიხუდდავად იმისა, რომ მეტად არაზესაყურელი ამინდელი დავედგეთ. ივენისის ბოლოს ისეთი თენსხმა მოვიდა, სულ დატბორა ვენახების ნაწი-



საქრებულო საქრებულო

ქართული
კომუნისტური

მხატვარი
ჯეიალ ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

1

საკარცულზე ვიკეტი და ტელევიზორს ვუყვარებდი - კრივს ვადმოსცემდნენ: რომელიც ქვეყნის ზანგებს ზღვებოდნენ ჩვენები, ან ვიცი, ამერიკელები იყვნენ, ან ვიცი — ფრიკელები. პიროგანაშაულები უნდა იყვნენ, სპორტული მიმოხილვაო და საიდან რას გავიგებდები, თანაც ტელევიზორს სულ ჩაუწყვეტინე ხმა — არ მინდოდა პაპანკო მთვარა უყრი და ბუხნიანი შემომვარდნობა, ესეც შენი მყუდროებაში მუცაიდებოაო. უკვე ოთხმოცდახუთისაა პაპანკო, აქედან მთელი სამოცი წელი ცეცარი გაატარა. ორ მსოფლიო ომში იბრძოდა, იქ დაიარა ათი წელი, თორემ კი სამოცდაათი გამოუვიდოდა.

მეზუთე გაზაფხულია, მოგვიწინაურდა პაპა, მაგრამ ისეა მიჩვეული მწკუმსურ ცხოვრებას, რომ ორიოდ ნებრი მთიყვანა, ექოს უთხეში მიჩხლართი-მიჩხლართა ფარები, გვერდით — სადგომი, და ზამთარ-ზაფხულ რქა სინხვის თავის გამოჩორენილ ტახტზე. ერთი ბარაქიანი თუშური ნადაი აქვს, ის არის მისი საგებ-სახურებაო. თავი კიდევ კოლხე უღვდეს, გვერდზეა, მუთაქისა და ბალოშის უშოვნელობაო. მოყვდა, ვადაეგო მანაქეტი, მაგრამ ვერაფრით ვერ შემოიყვანა შინ აქ მიჩნევიდა, დრემლის სუნეც აქ არის, ცხვრების ფშინეცა, ბატკნების კიკინიც, ხნელი დალახის სურნელიცო... მოყვდა, არ ეთმობა ჩავლილი წლები. კაცია და გუნება...

რისი ისტორია და რომელი გეოგრაფია დაძაბული ვუყვარებ ტელევიზორს: რა კულტურული ცემა-ტყევაა! ამდენი მოგზავდეს და არ გაბრაზდეს, არც იქით, არც აქეთ. კვა-მათულის ნერვები უნდა გქონდეს, მძიმე და ჭკუძმძიმე უნახის მოკირავთა შეხვედრა ბევრი არაფერია, მკვირ რაუნდშივე გაუქვდებიან ერთბაშად, ან ერთბაშის მიეყუდებიან წაქქეცებივით, ან ჩაეხვევიან დიდი ხნის უნახავი მძაყეცებივით და რის ვივაგლაბით გამოიკალეყებენ ხოლმე. მზავე და უმჩატესი წონაა ნალღის საყურებელი. ისე მვიკრცხლად დახტინ და იქნევენ ხელგებს, ეკვი ვაგარავს, ნახატი ფილმი ხომ არ არის...

ნეტა რომელი წონაა? კარგად კი დაიწყეს — არც დაზეგვა, არც შიშით ვან-ვან ხტუნაობა, გახსნილები დაეტკენენ ერთმანეთს. მაგრამ წუთიც არ იყო გასული, ზანკე მოწყვეტით დედაც ცალ მუსულზე, იდევეც ფირზე მიიჭრა და, დროით რომ არ მიშველებოდა ვიღაც თოყეებში გამოძმობალი თეთრშარვლიანი კაცი, ისე აქანავებდა თავს, არ უნდა ლაპარაკი, ცხვირს ჩაიჭყურტდა იატაკზე, ზოო. ეტყობა მიწინააღმდეგე ვერ მოხდა აყ...

ლი. მანამდე თუ ზერებში ფორჩხნასა და ცის ვახსნაზე ვეუშობოდით, წვიმის შემდეგ ამას ახალი საქმე დედაცა — დაწოლილი ვახის წამოყენება და ხელახალი ავრა. მერე საბოლოო მეურნეობის დირექციამ ხილის კრეფაში მიხმარებდაც ვეთხოვა. უარს ხომ არ ვეტყვოდი — მუშახელი უჭირდათ. ავღქმით და წავედი, დღეში სამ-ოთხ საათს ვმუშაობდი და თითოეული ჩვენგანი რამდენიმე უთოს კრეფდა.

— შრომითი ბანაკიდან ილიამ სიღნაღის კომკავშირის რაიკომის საპატრონო სიგელი ჩამოიტანა, — ჩაურთო მაიამ, — ხირსის სახლითა მეურნეობის დირექციის მადლობაც დაიმსახურა. ჰოდა, შემოღვამაზე კომკავშირში ვახსენებდა რომ შემოიტანა, ყველამ ერთხმად დაუპყიროთ მხარი.

— ახლა კი ილია ქალს ბიუროს შრომისა და პრ...

— ყრილობისწინა დღეებში, ამბობს მანა კოლეჯისაში. მარტის ბოლოს, ჩავატარებდი საერთო შეკრებას დღე-ღამით „როგორ ვიზარდეთ (ყრილობიდან ყრილობამდე)“. შეკრებები ყოველდღე იმას, რაც გავეთდა სკოლის პიონერულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებში, რა კეთდება დღეს, რა ხარვეზები გვაქვს, როგორ უნდა დავგლითოთ ისინი...

ხარვეზები... თითო-ორი ახლა ხარვეზი იმას არა აქვს, ვინც საერთოდ არ მუშაობს. ახალგაზრდა 167-ე სკოლის ნორჩ პიონერთა და კომკავშირული ორგანიზაციები კი მუშაობენ, მუშაობენ ხელითიერაკიდებულნი, ურთიერთგაგების აღმოსაფეროში. „პიონერი ემზადება, რომ ვახდეს კომკავშირელი!“ — ეს იცის ამ სკოლის ყოველმა პიონერმა. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ერთნაირი წარმატებით ვერ შეაღებს კომკავშირის კარებს, მაგრამ კომკავშირაც ხომ აღზრდისა და წუთობის სკოლაა, ისიც ხომ მაღალი იდეალებითაა შეიარაღებული. ისიც ხომ შე-



სირა ევაზილი



ლალი პაპაშვილი

ფორინტაციის სექტორის წევრია, — დაუძაბა ნათელა მასწავლებელმა. — სასიხარულოა, რომ კარგად, გულთანად მუშაობს. იმ დღიდან, როცა პრესაში ვამოქვეყნებდა ცნობა საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის მოწვევის შესახებ, სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა შესამჩნევად გამოცოცხლდა, მათი ერთიანობა უფრო საქმიანი და შედეგიანი გახდა.

დაგომი, უფრო მაღალი საფეხურისათვის ამხადდებს ახალგაზრდა თაობას. და მთავარია, წინსვლის სურვილი, ახალი მსწევრეალებსაც აღმავლის მძლავრი სურვილი გქონდეს სხვა ყველაფერი კარგად იქნება.

6. ახსნაზაპ

რასაღუ ზონაში დარტყა. ჩვენი მოკრივე ხელათმნი-
ან მარჯვენას გულზე იდებს — მსაჯს ებოდიშება, მერე
მხრებს იწურავს, ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ და რა-
ხაირად მოხდაო. და უცებ შენვლებულ კადრებს აჩვე-
ნებენ და მშვენიერად ჩანს, რა როგორც მოხდა: წელ-
ში მოხრილი ზანგი იერიშზე გადადის და მთელი ძალით
ურტყამს. მაგრამ ჩვენი მოკრივე ცრუ მოძრაობით უს-
ხლტება გვერდზე და ვამეტებით გაქნული ხელი პაერში
მოხაზავს ნახევარწრეს. ალა ჩვენი გადადის შეტევაზე,
ისე ერთბაშად გადადის, თითქოს ხელი უბიძგისო. უკან
დაბევისას ზანგი წელში აიშლება. ოდნავ შებრუნდება
და გულის კოვზზე დამიზნებული დარტყმა მენჯის ცო-
ტა ზემოთ ხვდება.

სკამზე ზის ზანგი და სიმწრით ქანაობს, იდაყვი ისევ

მიდი, ხმა ამოაღებინე.

ხმის ჩამრთველი გადავარტაილე და მოკრივეებმაც
დასცხეს ერთმანეთს.

როგორც ადრე იყო, ახლაც ასეა: უკანა-
ლაც, ერთიც — ჩვენი. ჩვენი-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ
ესეცა და წელანდელი მოკრივეც ბარე ორგერ მომხვედ-
რია თვალში. გვარების დამახსოვრებაზე კი არ მიფიქრია
არასოდეს და ავი არც მახსოვდა.

დარბაზში ხანდახან ჩაცხრება ღრიანცელი, მაგრამ
რომელიმე იმარჯვებს და ჭერიც ისევ ჩამოქცევას აპი-
რებს.

პაპა შეშინებული თუ გაოცებული მისხრებია
კრივს, ასე მგონია, სკავა წამოხტება და გამორთავს ტე-
ლვევიზორს. თუთურო ქული მოხიბდა და უკან არ მოუხე-



ფერდზე აქვს მიჭერილი. ჩვენი მოკრივე ჩაცუცქდა და
ხელათმნიან ხელს უსვამს თავზე. მართალი გითხრაო,
ახლა უფრო ჩვენი მოკრივე მეკოლდება.

მსაჯმა ზანგს აუწია ხელი — ამან გაიმარჯვაო. ღმერ-
თო, შენ მიშველე, შეხტა ზანგი და ბიჰაბატკანივით არ
შეიკუნტრუშა?! წელან სიმწრით მოკავებული რომ იჯდა
სკამზე?

ახალი მსაჯი შემოდის რინგზე, ეს იმას ნიშნავს, კი-
ლევ იქნება დაკა-დაკა...

ავდეკი, ფარა გადაწვე და ეზოში გადავიხედე.
— იქ ოას მეძებ. აჯა ვარ.

შემკრთალი შევბრუნდი: ღია კარში დგას პაპანგიმი
და ისე უყურებს ტელევიზორს, თითქოს წინ ვილაკ
ეღარებაო.

— ისე გადავიხედე, — საკარცხულზე დავეში.

შემოვიდა ოთახში, სკამი გამოისწია, დაჯდა და ლიმი-
ლით მკითხა:

— გემღერის?

— ვინა? — მივიხედ-მოვიხედე.

დავის, ისე დადო ჩემს საწერ მაგიდაზე, მერე კეფაზე
ჩაისვა ხელი და, მომჩვენა თუ რა იყო, მგონი სინანუ-
ლით ააყანტურა თავი.

ზანგმა აშკარად დაჭანა ჩვენი — კუთხეში მიიმ-
წყვლიდა და ისე ვამეტებით ურტყამს, მტერს არ ვამე-
ტებენ ასე.

მსაჯმა სასტვენს ჩააბერა, ხელი ასწია და ზანგიც
მორჩილად გატრიალდა უკან.

— რათ გააშველა? — მეკითხება პაპა.

— ეგე მაგას, — ჩვენი მოკრივეზე ვეუბნები, — წარ-
ბი წაეთქლიმა და მგონი ექიმს ეძახის მსაჯი.

წარბაშათქელში მოკრივე სკამზე დაჯდა. მივიდა
ექიმი, ბამბით შეუშურალა სისხლი და რალაც წასცხო.

პირველი რაუნდის დამთავრებას ბევრი აღარაფერი
აყლდა, ჩვენი რომ ნოკდაუნში ჩავარდა — ფეხები აერია,
აბარბაცდა და ის-ის იყო კიდევ უნდა დავრტყა ზანგს,
რომ მსაჯმა ხელსკვრით მოაშორა. მერე ვაფარჩხული
თითები ცხვრთან მიუტანა ჩვენს მოკრივეს და თვლას
შეუღდა. ამასობაში გონგის ხმაც გაისმა.



პარლემონის
პრეზიდიუმის
პრეზიდიუმის
პრეზიდიუმის
პრეზიდიუმის

- ვინ არიან, შვილო?
- ამერიკელები და ჩვენები.
- პირველობაზე?
- ამხანაგური შეხვედრაა.
- კარგი ამხანაგობა სცოდნიათ, მე და ჩემმა ღმერთმა! მაგას ეძახიან სტუმარ-მასპინძლობას? ხომ გავიგია, სტუმარი ღვთისაა? გავგეგონება. იცი, რას ნიშნავს ეს სიბრძნე?
- არა.

- საიდან გეცოდინება, ღმერთი შენ არა გწამს და ხატო!.. აი, რას ნიშნავს: ისე მოწიწებით, მოკრძალებით, სიყვარულით უნდა მიიღო სტუმარი, ვითომ ღმერთს გამოუგზავნია ანდა ვითომ ღმერთიაო. მიორწმუნებებს თუ დავუჯერებთ, ღმერთს ნაკლი არა აქვს. პოდა, სტუმარმა რაც უნდა ჩაიღინოს, აურისის, ვადაამლაშოს, მასპინძლის ვალო მხოლოდ ის არის, თვალის დახუჭოს, ვითომ არც დაუნახავს და არც გავუგონია. შურისძიებაზე თუ მიდგება საქმე, ეს — მერე, სხვაგან და სხვა დროს. ეგრება! კიდევ ისა, ჭიდაობა როა, მუტრუკების ჭიდაობა, ფეხში წააგლეხენ ხელს და დაათრევენ აქეთ-იქით... ხან კიდევ — თითქოს ვირილუტობას თამაშობენო, შეაჯღებინან ზურგზე, და რა ვიცი, ამოდენა ხალხი რა ნამუსით უყურებს!.. ვაი, მაგათი ვეჯაკობა რა ვთქვა! დედსა, ჩვენი ჭიდაობის პატრონს მაგაზე უნდა გველმობოდეს თვალი, ფეხი და ჯანი!

მეორე რაუნდი დაიწყო. ზანგი ისევ იერიშზე გადადის და ჩვენიც ისევ უკან-უკან იწევს.

- ეგ ჩვენი რას იკავებდა, შვილო?
- თავს იცავს.
- თავის დაცვა ის იქნება, ყებები არ შეარჩინოს მთელი! ეტყობა, არც ჯანი მოსდევს და არც ხალისი, რლის გამოდობა, მიუსაკეს?
- ერევა და ძალა!
- თავი თუ დაუტუნე, მოგერევა, მა რა იქნება! მაგას ხო არა ჰგონია, მე მხედება ზანგის მოქნეული მუშტები?! ეეპ, ბარემ მეცა მხედება, მაგრამ რას ვიზან!

მაგრად მიასიკვილა ზანგმა, სულ ცოტაც და ნოკაუტში ჩააგდებს. აღარ ეცალეს: ვილიცამ პირსახოცი გადმოავადო რინგზე -- ჩვენი მოკრივის სეკუნდანტი იქნება.

- ეხლა რაღით გაჩერდნენ?
- პირსახოცი გადმოავადო ჩვენი მოკრივის მასწავლებელმა — გააშველეთო.
- პირსახოცის გადმოავადებამ გააშველა?
- აბა! წესია ასეთი.
- ეგერე ხეცსურმა ქალეზმა იცოდნენ: სამკვდროსასიციტლოდ ვადარეული კაცების შუაში ჩააგდებდნენ მანდილსა და ჩხუბიც მთავრდებოდა. ქალს ეგეთ პატივს სცემდნენ, მაშა... ეგ წესი, მე მითქვამს, ხეცსურეთიდან ექნებოდა წაღებულა... შენ იციენ, ვიდრე მოგწყინდება. ჩვენიდან წაიღებენ, მიაბრუნ-მოაბრუნებენ ხოლმე და მერე აქეთ გვაჩვენებენ ხელში, როგორც თვითონსას, შენ კიდევ დავალია პირი და იკრიკები! — წამოვდა პაპა, ეზოში გადაიხედა. — ჩადი, კოშკარი გააღე, ფოთოლა

მოსულა, — და საათს ააჩრდა, — ცხრას გადაცდა, არა? — ათის ხუთი წუთია, — წამოვდებიქ.

— ხუთი წუთი აქეთ, ხუთი — იქით, ეგრე მოდის ხოლმე. ვაპ, კაცო, პირტუყვი და ეგეთი! საქონელში დავებრებულვარი, იქ მომიქამია ჩემი წუთისოფელი, მაგრამ ამისთანა გონიერი პირტუყვი არც მინახავს და არც გამიგონია!

2

ფურს კოშკარი გავულე და ჩამოვეცალე: — მიდი, ფოთოლა, მიდი.

უხალისოდ შემოიზღაზნა ეზოში. სხვა დროს შემომზღუფვლბდა ხოლმე, ახლა კი ისე ჩამიარა გვერდით, თითქოს პირველად მხედავდა. დღის სული ტრიალებდა ისევ და დანახვაც არ გამჭირვებია, მაგრამ ხელთ მანინე მოგონებ: ისე ცოტა ედგა რძე, ვიდრე, ალბანტე ჩამოწყვლა-მეთქი. გამაშრალი მიგჩერებოდი ფურს. ამ დროს პაპაჩემმა ჩამოახმაურა კიბე:

- რა! დავალია, შვილო?

ღლიან-პატრიაანდ ყველა გადიდაცადა, უკადრისობის ბზიკობიან და სოფელსაც არა ჰყავს მენახირე, პოდა, რაეი სხვა გზა არ არის, საქონლის პატრონები რიგრიგობით მენახირებოდა — რიგრიგობით დაუღიბთ მანია საძოვარზე. ვერაფრით ვერ ვავისწერი, დილას ვინ ჩამოატარა ნახირი. პაპასაც ამიტომ ვკითხე:

- დღეს ვინ იყო მორიგე?
- იასონა ბალიაშვილი. რაზე მკითხებები?
- მიწვეული მიჩვენება, — ისევ ცურზე მოვუსვი ხელი.

— რას ამბობ, შვილო. იასონა მაგას იკადრებს?! რომც იკადრებ, ბარემ ისაც თქვი, გაუჩრდებდა ფოთოლა? იქნებ უფუფრებოდ არის და პირი არაფერს დააკარა, ისე საიდან მოიღვამდა რძეს? — ფურს ქელზე გადაუსვა ხელი, ზურგზედაც, ცურვი მოუსინჯა და თვითონ დააუქვდა, — მეც ჩამოწვეული მიჩვენება... რა ვიცი, შვილო, ვილას უნდა ენლო!.. არა მგონია!.. ეგეთი რამე რომ მოხდეს, მთელი სოფელი ვინახაშო, მინდორ-ველსა და ტყე-პალაშოა გაფენილი, დამნახავი გამოილუვა?! მანინე გადავალ, შვილო, ვკითხავ იასონას, თვალიდან ხომ არ დაკარგვია დღესა...

- მაგრამ წასვლა აღარ დასჭირდა, შენ ვითონ იასონა პაპა დავეგზავნა:
- ოკახიშვილებო!
- ლიაა კოშკარი! — უგემურად გასძახა პაპაჩემმა. საძოვრიდან რომ დაბრუნდებოდა ფოთოლა, გადასჭირდა ეზოს და თუთის ქვეშ ჩერდებოდა. სითბოში ლა-

მეც გართ, ამ თუთაზე ვაბამდით. ეს თუთა კი სახლის ქვემოთ არის გაფოფრილი და ძალიანაც დააკვირდეს პიშკრიდან, ფოთლიანი ტრეტები არ დავანახებებს მის ქვეშ მოკალათებულ მიწას. ბუნებრივია, ვერც იასონა პაპა მოგვავწყენდა თვალს.

— აქა შშვილობა, ხალხოს!

— გაემაროს, — თავიც დაუქნია პაპაჩემმა, — ეხლა სწორედ შენთან ვაპირებდი გადმოსვლას.

— მეც ავი ამიტომ მოვიდი, — ფურის ახედ-დახედა.

— პა? — მიაჩერდა პაპაჩემი.

— რა ვიცი, ვანო, კაცო, შვის ამოსვლამდე ხალისიცა ჰქონდა, მადაც. ამოვიდა მზე და მთლად მოეშვა, მარტო წყალზე იწვედა — სვამდა და სვამდა. მთელი ამსივრძე დღე მაგასი ცოხნა არ დამინახავს.

— მოიცა, საერთო ზვრების გასადევარზე ხომ არ ამოვვები?

— აბა, რას ამბობ, ათას შხამებს აყირანი მიწას, ათასი შხამებით შეწამლავენ ხოლმე ვაზსა, იქით ჩამტარებელი ვარ?! ხეე-ხეე ჩავატარე, მე-რე აკაცებში გავვიდი და ეგრე, ძოვებ-ძოვებით ჩავრეკე ალაზანზე, კალაში... მთელი დღე მოწყენილი იყო, პური მივფორდ და ისიც არ გამომართვა, დასუნი და გვერდზე მიაბრუნა თავი.



ან ჩემი ფური დავარდნილიყო, ან კიდევ დღეს შე არა ვყოფილიყავ მორიგე!.. ერთი და ერთი, კაცს რო აუწყებდა ცხოვრება, ბევრიც ეცალის, ვერაფრით ვე-ლარ დაილაგებს. ვითომ სხვა სადარდელი არა მყოფის და, ეხლა ესეც არ გამოიტყვარა!

— ნეტა, უხსენებელმა ხომ არ დასუნთქა? — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა პაპამ.

— ეგეც ვაგიფიქრე, — ოხვრითა თქვა იასონამ. — ისე საგულდაგულოდ მივატარ-მოვატარე თვალი, ჩლიქ-ზე რას მიუყენებდა ნესტარს, მაგრამ, დამიჭერე, ჩლიქიც

კი არ დამრჩენია გაუსინჯავი... ვეტეტები ხომ არ მოგეყენა?

— ამაღამ დავიციდი, რა ვიცი, იქნებ არ გამოვითვალა და ხვალ დავაყენებ თავზე... ვისთვის რა დამიშვებია, გამეტებით დაგრტყათ რამე, ან რა ჯაფა ადგას ისეთი, დაააღულოყო; არც წლებს სიმძიმე აცოდლებლეს, გული დამემშვიდებინა, სიბერის ბრალი-მეთქი; ავი სულ ორჯერ მივლო, თანაც დროითა და რიგით... აბა, მოხმედე, ფოთოლა, — მოეფერა პაპაჩემი, — დელო?.. იქნებდა გეწყინა რამე და გვებუტები?.. შენ რო ეგეთი რამ არ იცოდე?..

ფოთოლა შეტკოდა, ჩემკენ მოაბრუნა თავი.

— ეგრე... აბა მეც მოხმედე, დელო.

მაგრამ ფური ისეც გაქვავებულად იდგა.

პაპაჩემმა ბარბაცე დაიკრა ხელი:

— ვაიმე, ვაიმე, რძალ-შვილი მაინც იყოს შინა!

მაპაჩემი და დედაჩემი ორი დღით წავიდნენ თბილისში, ვიდრე უარესად მოგვწოლია მიწის სამუშაო, ბარკე ავადმყოფ ნათესავს ვინახულებთ... რისი ორი დღე, უკვე მეოთხეც ჩამოთავდა, მათი ჩიჩინისა და ტურტურის მონატრული გავხდი.

— თუ ამაღამ არ გამოჩნდნენ, დავკრავ ფეხსა და გამოვცხადებდი ქალაქში! ან ჩვენებს დემარტათ რამე, ან ჩემს საცოდავ დისწულს... ფოთოლა განწირული თუა, შენი აქ დგომით არაფერი ეშველება მაინც, ადი, შვილო, დაიძინე!..

დაიძინეო? რა ჯანდაბა დამაძინებს!

ზუსტად ერთი კვირისა იყო ფოთოლა, დედა რომ მოუკვდა — ობოლი. მოკვდა კი არა, მოუკლეს. აი, როგორ მოხდა ეს: ზედ შარავასთან ეცხოვრობთ, მოსახვევში. ერთ კვირა დილას, რალა თქმა უნდა, მოულოდნელად, ჩვენს ტიშკარში შემოვიარა „ეიგული“. ის-ის იყო ობოლა გავიფიქრე წინ, შინავენახში მიმყავდა, ვიფიქრე, გასადევარზე წავაბალახებ-მეთქი. პოდა, შემოვიარა ტიშკარში ვილაცის „ეიგული“, დეჯახა ობოლას და იქვე აუკანკალდა ფეხები. თავზარი დამეცა: პირველად ვხედავდი, ფური რომ ასე საცოდავად კვდებოდა. კაცმა რომ თქვას, ძროხისთვის სულ ერთია, მოკლავენ თუ დაკლავენ, მაგრამ მთლად ასეც არ არის: ობოლა დედა იყო, მთელი ერთი კვირა ეფერებოდა შვილს — მთელი ერთი კვირა ლოკავდა და ლოკავდა! შვილს დაკარგავდა თვალისა და აზმუვლდებოდა, იმოდენა თვალები უხდებოდა, იფიქრებდი, ცოტაც და გადმოცვივდებო. ვიდრე მოწყველიდით, ჯერ ფოთოლას მიუშვებდი ცურზე. წოვდა ფოთოლა, თან დროდადრო დრუნხს გამეტებით ურტყამდა ჯიჟანს. მერე მოვაპირებდით ფოთოლას, დედაჩემი მოსაწყვლად მიუჭდებოდა და ცოტა ხნის შედრე მუტარაც გვესივოდა:

— ჩამოუშვი, რომ გუბნები! — უყვიროდა დედაჩემი. — ვერ უყურებ, როგორ უყვარს შვილი?

— რა ამბავია? — განგებ ჰკითხავდა პაპა.

— აიზნიქა წელი და აღარ უშვებს რძეს!

— მერე?

— რალა მერე?!

— ამტყუნებ-მეთქი?

— მართალია, დედა ესეტ... ჩამოუშვი ცოტაც, ობოლა, ჩამოუშვი ცოტაც, თორემ სადაცაა გავბრუნდები! — თან ელიმებოდა.

ჩაიხედავდა შაპა სათლში:

— გაყიდვით ჩვენ არა ვყიდით რძესა და არც ყველი ამოგვაქვს, რძე-მაწვნად ესეც გვეყოფა, რძალო, დანარჩენი დაანებე ფოთოლას, გაიხაროს.

დღაჩემი აიღებდა სათლსა და არაცრაცებულ ფოთოლას მიუშვებდა ხოლმე ცურზე...

იმის ვამბობდი — შემოვიარდა ეზოში ვილაკის „ჭიგული“, მარჯვენა ფარი დაარტყა ობოლას, მერე გვერდზე გავარდა და მთელი სიჩქარით შეასკდა თუთას. მაშინ მანქანა არ გამხსენებია, ობოლას ვუყურებდი — ფეხები უკანალებდა და თავსაც გამეტებით ურტყამდა მიწას. ფოთოლამ ჭერ დასუნა დედას, ცოტა ხნის შემდეგ წინა მუხლებზე ჩაიჩოქა და ჯიქანს დასწვდა. ავიყვანე ფოთოლა და რომ შეებრუნდი, მამაჩემმა მიყვირა:

— ეხლა მაგის დროა? გაუშვი ხელი და მომეჩხარე!

ახლაა დავინახე: მამაჩემს მანქანის კარი გამოუღია და საწესთან თავჩაქინდრული, ვეება კაცი გამოჰყავს და ვერც გამოჰყავს ვარეთ. დღაჩემის წვილ-კვილი ქვეყანას იკლებს, ისეა დაბნეული, სათლით გარბი-გამობრბის ეზოში.

მევიარდი და მეც დავეჯავგრე სისხლით მოთხვილ კაცს, მაგრამ მიძიმე იყო. ძალიან მიძიმე და ძვრა ვერ ვუყვით. ამასობაში მუხობლები და გამვლელ-გამომვლელიები მოცივიდნენ — რის ვაივაგლახით გამოიყვანეს და საჩუხის ტახტზე დააწვინეს. ვიდრე ექიმს მიაწვდენდნენ ხმას, შაპამ სისხლი მოსწმინდა არყიანი ტილოთი, ყვრი-მკლები დაუხილა და, როგორც იქნა, მოასულიერა. მერე ექიმიც მოვიდა, გასინჯა და საავადმყოფოში წაყვანა ბრძანა.

— ვითომ ვადავრჩები, ექიმო? — ჰკითხა უცნობმა და თვალები მილულა.

— ბევრი არაფერია. — ანუგეშა ექიმმა, — ორიოდ დღეში მომჯობინდები.

— ომერთო, ეს ერთი ნატვრა შემისრულე — გამაგებინე, ვინ იყო!

— გიცი და მანქანა გავიწილა, კაცო?! — ხელები გაშალა ჩემი კლასელის, მიხოს მამამ. — ან მართლა გიცი იყო, ან არყით ვალეშილი, ანდა კიდევ, ისე იცოდა საჭე, როგორც მე ჩინეთის მართვა-გამგეობა ვიცი.

— ისე მჯერა, მთვრალი იყო, როგორც მე კიდევ — მწინლის ამოღება ვიცი, — თქვა შოი ნარიაშვილმა და, თითქოს მოლაპარაკებულები არიანო, ყველამ დაუქნია თავი.

— შოფერი კაცი ხარ, დაგეჯერება, — უთხრა მამაჩემმა და მერე ექიმს მიაჩრდა, — რალს უყურებთ, შალვა ექიმო?

— სადაცაა სასწრაფო დახმარების მანქანა მოვა.. საჭე აგერია? — ჰკითხა და მაკა გაუსინჯა ისევ.





უცნობმა ხელით ანიშნა, არაო, მერე — მამაჩემისკენ
ოღნავ, სულ ოღნავ მიპარუნა თავი:

— ვადაჩრები, ხომ კარგი, არადა, ჩემიანები ვადა-
გინდიან ზარალს.

— შენ შავზე არ იდარდო, — უთხრა მამაჩემმა, გი-
ბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ჩაჩრჩქვილი ტურჩები-
დან სისხლი მოაშორა.

— ისეე სისხლია? — ასადგომად წამოიწვია უცნობმა.

— იწევი, — მკერდზე მსუბუქად დააღო ხელი ექიმ-
მა, — თვლია... სადაური ხარ?

— თუღველი...

შეიწვია წინაშე მანქანის უვლის გარშემო და მი-
ხოს მამას ელაპარაკება:

— საქარეც დაღველია, შუქფარებიც, რადიატო-
რიც, საშუკე მიბრეცილ-მობრეცილა... რკინა უნდა იყო,
ავტო ავარიას რომ ვადაღურე ცოცხალი... ნახევარი მან-
ქანა აღარ არის, თანაც ეყე, სილომერტს დახედე, ბეკ-
რი-ბეგრი ერთი კვირის ნაგებია... იმარჯვა, თორემ თა-
ვის მანქანიანად გაისრისებოდა... ხო ამოღენა კაცია, ელ-
დასავით უტებ აუქცია გვერდი და შემოვარდა ეზოში.

— შენ დაინახე თუ სხვის ნათქვამს იმეორებ?

— რა სხვისა ნათქვამი!.. სადალაქოში მივდილობი; ერ-
თბაშად ისეთი გუგუნი მომესმა, შიშით გვერდზე ვავხტი,
მეგონა რაღაც ოხრობა მეგახებოდა! მივიხედე: „გახი“
მოფირიანეს და მოაქვს არეგებოდა! ამ დროს ქვემოთა მო-
სახვევიდან კიდევ „ეტიგული“ გამოვარდა. შიშისა და
ცოდვის ოფლი დამასცდა — ნაღლი სიკვდილის სუნი
ტრიალებდა. მაგრამ უტებ იმარჯვა „ეტიგულის“ პატრონ-
მა, მარჯვნივ აიღო და ქოშარში შევარდა, რაღაც სანტი-
მეტრებით გაასწრო... ის თავზეხელალებული კი, ვინ იცის,
რამდენ უღანაშულო ოჯახს დაუეყენებს შავ დღეს...

შავლა ექიმმა ნემსი გაუეყენა ავადმყოფს და ამასო-
ბაში სასწრაფო დახმარების მანქანაც მოვიდა.

ნაუარიალი კაცი საეცეზე, რომ დაწვინეს, ახლა ავ-
ტონისპექციის მანქანა შემოვარდა ეზოში. ორი კაცი
გადმოვიდა მანქანიდან. უცნობს დახედეს და, გულში
რომ დაიშვინდეს, მერე ჩამოართვეს ხელი მამაჩემს.

— გაბათი? — მალალს კითხა მამაჩემმა.

— რას გაბაბა? წინ გადაუდღებოდა თუ საბურავებში და-
უშვენ ტყვიას?

— მაშ აიწყვიტოს და მიღვეწ-მოღვეწოს ქვეყანა?!

— რკინიგზის გადასასვლელზე გაიხიხრა და მაშინ
წავტაცეთ ხელი.

— მოტორი ჩაუქრა?

— მატარებელი ჩამოეთვარა. ალბათ იფიქრა, ამას
ვერაფერს დაეაკლებოდა და რის ვაივავლახით დაამუხრუ-
ქა.

— გაუტაცინა?

— არა, აოყით დამთვარალა უგონო.

— კიდევ ღვინო-არყის გაუგებლად სმამ დაგვლუმა
და დავაქცია! — აყვირა პაპაჩემი. — დალაგებულ
კაცი წყალს არ დაღვეს ამ უთენია და უღვე რაყიო?!
რას ეფერებოდა ლიოთებს, წაართვით საბუთი და დაუხი-
ხო! ნახათ, მერე, ვინლა გაბედავს, მთვარალი შეცოდ-

ვილდეს მანქანაში!.. არც თქვენა ხართ ციდან ჩამოთო-
რენი ანგლოზები, თორემ ადღენს ვერ გაგინდებდნენ!
ერთის აპატიებ ხათრობა და ოხრობობა, მეორეს, მესამეს,
მეოთხე კიდევ მოლად უარესს იზამს!

— შოცია, მამი, რა ამბავია? — შეწუხდა მამაჩემი.

— მართალი სიტყვა არაა შენ მოგწონს და სხვას რა
უნდა გეუბარაყო! — დახარა, ობოლას დააჩერდა, —
კარგი იყავი, კარგი, შე უბედურო!

ინსპექტორმა დაამტკიცებელი „ეტიგული“ დაათვალი-
ერეს და ახლა ობოლას დაადგინა თავზე.

— უნდა იჩივლოთ? — ითხა დაბალმა.

— როგორ გეკადრებათ?! — გაწყრა მამაჩემი.

— რას ბრძანებთ, შვილო? — ახლა პაპაჩემმა დაიკეცა

შუბლი. — ესეც ბუნების შევილია და ცოლგაა ესეც,
მაგრამ კაცი ვადაჩრხა და რა გვეძროხება, ღმერთი გეშ-
ველისი!.. იმ გვარამისაწყვეტს, დავეჯგორო, ამის მეტი სხვა
არავინ გაუშყარებია?

— ჯერჯერობით არ ვიცით, ავყვებოდა და გავიგებო.

სასწრაფო დახმარების მანქანა წავიდა და ავტონი-
სპექტორებიც წავიდნენ. ხალხიც მალე გაიფანტა ბუ-
ლენ-ყაყაინი.

— აფსუსია ამხელა ფურის ეგერ გაუფასურება, მა-
გრამ რას იზამ! — თქვა პაპაჩემმა. — ფოთოლას რალა
უყუყო?

— მე მოვეულო, — ეთქვი და დღეს შევხედე.
დღემ ფიქრიანად დამიქინა თავი.

მამაჩემმა საიდანაც ვეება მაწოვარა მოიტანა. ვყი-
დულობდით რძეს და იმ მაწოვარათი ვასმევედით ფოთო-
ლას. ბალახს ვეგმი რომ ვაფსინავა, მთელი ოჯახი ვერ ავუ-
დილობით ლორთქო ბალახის ზოდვას. ვეტეკიმი მოვიყა-
ნეთ და, როგორც დავგვარავა, ჩვენც ისე ვიქცეოდით.
ერთხელ დედაჩემმა თქვა, შენც არ გელოლიავებოდათ
ისე, როგორც ფოთოლას ველოლიავებოთ. მე კი ღე-
დისერთა ვარ, თუმცა და მყავს და არცა მყავს.

ლაშე დიდნას ვეფიქრობდი ფოთოლაზე, ვეფიქრობდი
კი არა, ვეღაროდინდი. ამიტომ იყო, ძლიეს მომეკიდა რუ-
ლი, ძლიეს ჩაიძინე.

ვიღაცამ ხელი შემახო შუბლზე, გაიღვიძე, გათენდაო.
თვალი გავახილე და მამაჩემი დავინახე. რაც მე მაშინ
გავიხარე! წამოვკეტი.

— როდის ჩამოხვედით?

— წუხელ.

საბანი ვადაღვიძე და ფანჯარას ვეკი — ჩვენი „ეტი-
გული“ მთელი იდგა თუთის ჩრდილში.

— რა? — გაეღიმა მამაჩემს, მიხვდა, რატომაც ვა-
დაღვიძე.

— რა ვიცი, თასი ოხრობაა გზახე.

— ორი თვე ჩათავდა, აღარ მინახავს ჩემი ავადმყოფი
მამიდაშვილი და, ცოლდა-ბრალით ავკვესო, ორი
დღით მინც დარჩითო. ჩამომდნარია, საცოდავი, ჩამომ-



ღნარი, ქუჩაში შეგზვდეს, ველარ იცნობ... დიდი მოკითხვა დამაბარა შენთან.

- დღესვე გავუგზავნი წერილს.
- ძალიან ენატრები.
- ფოთოლა ნახე?
- რად უნდა მენახა, ვითომ?
- ავად იყო წუხელ.
- რას ამბობ, რამ გააადამყოფა, ნახირს გავაყოლე, ცხვარი კიდევ მამაჩემმა თვითონ წაიყვანა საბალახოდ... ადე, — საათს ახედა, — რაღა უკლია, თითქმის სკოლაში წასვლის დროა.

— დეღარემი საღაა? — თან შარვალს ვადევნედი.
 — ბიძა გახდომია შეუძლოდ, ის ბიძა კი არა, ემანდ წყაროსთან რომ ცხოვრობს, ქვემოთა — ბიძინა. ჰოდა, იმის სანახავად აიწია ბინდბუნდზე. ამდენი ავადმყოფობა, კაცო, ამდენი?!

— გულში აკი მალაზიაში იყო, ასე უცებ რამ წააქცია?
 — რას გაიგებ, ზოგი ავადმყოფობაა, ნახევარ წუთში

ჩანდა მოღობილში. მანქანა უკვე მოებრუნებინა ჩემს, თავქვე ექნა პირი.

როგორც გვიან ამდგომს ემართება ხოლმე ეჭვიანობა დიდ დიდ წაისისაზე. არც მამაჩემს ეტყობოდა ჩვეული ძალა, ორიოდე უკლემა გაღუპა და აჩქარებული წავიდა. მეც აეჩქარდი, მაგრამ ცოტა მაინც დამაგვიანდა გაკვეთილებზე.

პირველი გაკვეთილი გეოგრაფია გექონდა. გეოგრაფიის ნათესავი, მამაჩემის ალალი ბიძაშვილი გვასწავლიდა. შეველე კარი, ზღურბლზე გავჩერდი — სისას კითხულობდა. ჩემს გვარს მიადგა და, ვიდრე ამომიკითხავდა, ღიმილით ვუთხარი:

- აქა ვარ.
- რაღაც უცნაურად ამხედ-დამხედა:
- ვიფიქრე, არ მოვა-მეთქი... დაჯექი.
- ვითომ რატომ არ უნდა მოვსულიყავი?! — მერ-ხში შევატურე ჩანთა.
- მეგონა, ფოთოლას მიაცილებდი სასაკლაოზე.

კარგი დედის შვილია და კლასში ვინმემ გაუბედოს ზედმეტი სიტყვა, მაგრამ ახლა ყველა ერთად ამბურდა: ვინ ჩაიციან, ვინ — ჩაიჭირქილა.

- აბა! — გააჯერდა მასწავლებელი.
- ისევ ღუმელი ჩამოვარდა.
- რაო, ფოთოლა სასაკლაოზე წაიყვანესო?! — გაეშრი და გავხედი.

მასწავლებელი მომიხსლოვდა, სინანულით მითხრა: — რას წარმოვიდგენდი, არ გეცოდინებოდა.

შემეშინდა, ემანდ ცრემლი არ მომამწვეს და თავი არ მომეჭრას-მეთქი, ერთბაშად მოვეწყდი ადგილიდან და ღია კარში გავვარდი. რაღაც დამიძახა მასწავლებელმა, მაგრამ მის გასაგონად არ მეცალა — აწყვეტილი მივბრბოდი თავქვე, არც აქეთ-იქით მისახედალ მეცალა, არც ნაბიჯის შესანელებლად. შარავზა გამოჩნდა და ავტობუსიც დავიჩახე, სვლას ანელებდა ვასაჩერებლად. კიდევ უფრო მოვუმატე სირბილს. ვითუ მგზავრი ცოტა ჰყავს და მალე დაიძრას-მეთქი, პირში ვიტაკე თითები და მივლი ძალით დავუსტვინე. ვიღაცამ ხელის აწევით მანიშნა, უშეზოდ არ წაეაო, მივკლომინდი ავტობუსთან და მაშინ დავაკვირდი: ხელი რომ ამოწია, ჩვენი ფოსტალიონი, ბენო ტატიაშვილი იყო. ავტობუსში შევედი და მითხრა კიდევაც, საით გავიწვიეთო.

- საქმე გაქვს? — ძლივს ვითქვამდი სულს.
- ხუთჯერ მოგაკითხე შინ და ვერ დაგიჭირე.
- შუადღისას იქნებოდი.
- ეგრე იყო. რო ამოხვალ, მომძებნე, წერილია შენს სახელზე.

— მერე ვერ დატოვე?!
 — საკუთარ ხელშიო. ჩანთაში მაქვს, ჩანთა კიდევ ფოსტაში მივაგდებ წელან.



გამოჰყოფს ხოლმე კლანჭებს. საღლისო გაკვეთილები იცი?

- თუ გამიძახეს, მოვახერხებ რაღაცას.
- აჩქარდი, ვისაუბროთა და წავიდეთ მერე ჩვენ-ჩვენი გზით.

არც ფოთოლა ება თუთაზე და არც ცხვარ-ბატკანი



მზა კავკასიონზე

ანდრა კარბელაშვილი

მხატვარი
შადიშან ვაშვასაძე

იმ მნიშვნელოვან მოვლენათა შორის, რომელთა მოწმედ XI სუფიედში გავხდებით, იქნება საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანა კავკასიონზე.

რკინიგზა კავკასიონზე? — შეიძლება გაიკვიროთ თქვენ, როცა წარმოიდგენთ კასპიიდან შავ ზღვამდე, თითქმის 1500 კილომეტრის სიგრძეზე გადაქიშულ კავკასიონს. მართლაც, ძალზე გაბედული ჩანს ამაზე ფიქრიც კი, მაგრამ განა ბევრი ოდინდელი ოცნება დღეს სინამდვილედ არ გადაიქცა?

მაგრამ ვიდრე პროექტებზე ლაპარაკს დაიწყებდით, ჭერ მიდით და გავარკვიოთ, რისთვის არის საქარო და რით არის ხელსაყრელი კავკასიონის ქვეზე ამ უნიკალური რკინიგზის გაყვანა.

დიდი სამშაულო ომის წლებში თბილის-მოსკოვის მატარებელი შემოვლითი გზით, ბაქო-გუდერმეს-როსტოვის გავლით დადიოდა. ახლა კი თქვენ იცით, რომ თბილისიდან მოსკოვის მავალი მატარებელი დამსუფთავებ მთავარიება, ჩადის სამსტრადიაში, გაივლის სოხუმს, ტუაფსეს და როსტოვს შიადწევს, აქედან

კი მოსკოვისკენ გაუდგება გზას. ბევრ თქვენგანს ალბათ უმგზავრია კიდევ ამ მოხრებულ გზით.

ამ ხაზის გახსნამ მანძილი თბილისსა და მოსკოვის შორის 675 კმ-ით შეამცირა, ბათუმსა და მოსკოვის შორის — 1165, ხოლო სოხუმსა და მოსკოვის შორის — 1400 კმ-ით. გარდა ამისა, სანაპიროს ხაზმა დიდი როლი შეასრულა ამიტერკავკასიის დასავლეთი რაიონების სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში და ხელი შეუწყო შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ზონათა განვითარებას.

მაგრამ ხომ შეიძლება, კიდევ უფრო შემოკლდეს გზა თბილისიდან მოსკოვამდე? თუკი მატარებლები ივლიან არა შემოვლითი გზით, არამედ ჩქიქურ პირდაპირ — დაბს, კავკასიონის მთავარი უღელტეხილის გავლით, მაგალითად, ქალაქ ოჩოჩინიკისაკენ? საუღელტეხილო რკინიგზა თბილის-მოსკოვის მატარებლის მგზავრობის დროს X საათით შეამცირებს. ასევე შემცირდება დრო ერევან-მოსკოვისა და თბილის-როსტოვის შუაზე.

საუღელტეხილო მაგისტრალი დაჩქარებს არა მარტო მგზავრების გა-

დაყვანას, არამედ ტვირთის გადაზიდვასაც. საქმის არის, რომ დღესაც კი თბილისიდან ბრესტისკენ გზაზე წავილი ტვირთი მხოლოდ მთავარ თულებით კი არა, ისევე ბაქოს მიმართულებით იგზავნება. რატომ? იმიტომ, რომ შავი ზღვის საკინიგზო მაგისტრალი ძალზე გადატვირთულია სამგზავრო მატარებლებით.

როცა კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა აშენდება, ტვირთი გადაზიდვის გზა 970 კილომეტრით შემცირდება. სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ საუღელტეხილო რკინიგზა ქვეყანას ყოველწლიურად დაახლოებით 108 მილიონ მანეთს დაუზოგავს. ამ მილიონებს კი გამოვიყენებთ ახალი სკოლების, საბავშვო ბაღების, საცხოვრებელი სახლების ასაგებად, ჩვენი ქალაქების და სოფლების უფრო გასალამაზებლად, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისათვის. აი, რატომ დადგა დღეს კავკასიონზე უნიკალური რკინიგზის პრაქტიკულად გაყვანის საკითხი.

„პრაქტიკულად გაყვანის საკითხი“ — ეს გამოთქმა შემთხვევით არ გვიხმარია, ბავშვებო.

თურმე საქართველოს და რუსეთის უმოკლესი სარკინიგზო ხაზით დაკავშირება ჭერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ყოფილა ქართველი და რუსი მოწინავე საზოგადოების ოცნება!

აი, რას წერდა 1872 წლის 28 აპრილის გაზეთი „დროება“: „მეამბადა ლაპარაკია, რომ ტფილისისა და რუსეთთან შეერთებისათვის რკინიგზა შიომთხი უნდა იქნება გავილესი. ამისათვის მოუნდებდა ერთ ადგილს ექვსი ვერსის სიგრძით შიომთხი გვირაბის (ტონელის) გათხარაო. გვირაბის გათხარა ძნელი არ იქნებოდა, რადგანაც რბილი ქვია შიომთხის გასაოხრელი ადგილები და მუშაობას რვა მილიონზე მეტი არ მოუნდებოდა. დანარჩენ ადგილებში გზა მთის ფერდობებზე და ვაკეებზე გავა. ანგარიშობენ, რომ ეს რკინიგზა ისე ძნელი გასაკეთებელი არ იქნება, როგორც აქამდის ეგონათ და გვირგვინ ადგილი განსაკუთრებით მოხსენის გვირაბზე, რომელიც 14 ვერსია. ეს აზრი ეუთუვნის პოლიტეხნიკ ნებატოვისს, რომელიც ვლადიკავკასის გზას აკეთებდა რამდენიმე წლის წინათ და როგორც აქაური რუსული გაზეთი „კავკასი“ ამბობს: „კავკასიის გზის მოედის ცოდნაში განვიტარებულა“.

ინუნიერი ბ. სტატოვსკი კავკასიაში გზებისა და რკინიგზების მშენებლობის დიდი ენთუზიასტი და ქართველი სპეციალისტების მეგობარი

იყო. ჭერ კიდეც 1857 წელს მან წამოყენა საეთიხი თბილისისა და ზაქოს რკინიგზით დაკავშირების შესახებ. იგი იმავე წელს შიველიანის შვიციარაში, რათა შეეწავლა, როგორც რკინიგზების, ასევე გზებისა და ვიარაბების მშენებლობის ორგანიზაცია. 1865 წლიდან ბ. სტატკოვსკი თბილის-ფოთის რკინიგზის სამუშაოთა უფროსია. იგი მონაწილეობდა 1877 წელს ქუთაისის რკინიგზის შტოს შემოწმებაში, რის შემდეგაც პირველი მატარებელი ჩვიდა ქუთაისში. სტატკოვსკიმ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა, აგრეთვე სურამის უღელტეხილის სარკინიგზო ხაზთან დაკავშირებით. საერთოდ, მას ძალიერ ახლოს მიჰქონდა გულთან საქართველოში გზათა მშენებლობის პრობლემები. ჭერ კიდეც 1858 წელს მან „პეტერბურგკიე ველომოსში“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით — „გზა კავკასიის მთების უღელტეხილზე“.

